

ანტიბიოტიკორეზისტენტობა – წარმატებები და გამოწვევები


დავით წერეთელი

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის ცენტრი



ანტიმიკრობული რეზისტენტობა



- საგანგაშოდ სწრაფად ვრცელდება მთელს მსოფლიოში
- სერიოზული საფრთხეა გლობალური ჯანმრთელობისთვის და მოითხოვს სახელმწიფოს ყველა უწყებისაგან და საზოგადოებისაგან გადაუდებელ ღონისძიებათა გატარებას
- საფრთხეს უქმნის ინფექციურ დაავადებათა მკურნალობას, რაც იწვევს პაციენტთა ინვალიდობასა და სიკვდილს

XX საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში (1)

- ოფიციალური მონაცემებით საქართველოს ყველა კლინიკაში ნოზოკომიური ინფექციების გავრცელება 1%-ზე ნაკლები იყო
- არ არსებობდა მონაცემები საავადმყოფოსშიგა ინფექციების გამომწვევი პათოგენების ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის შესახებ
- კლინიკებში დანერგილი იყო ნოზოკომიურ ინფექციებზე მხოლოდ პასიური ზედამხედველობა



XX საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში (2)

- არ გამოიყენებოდა საავადმყოფოსშიგა ინფექციების შემთხვევის სტანდარტული განსაზღვრებები
- იშვიათად ტარდებოდა პაკ-ი
- ინფექციების კონტროლის სისტემა დამსჯელობით ხასიათს ატარებდა





ანტიმიკრობული რეზისტენტობის კვლევის დაწყება საქართველოში

- 1997 წელს, საქართველოს კლინიკებში პირველად იქნა შესწავლილი ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევი პათოგენების ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა
- კლინიკურ პრაქტიკაში დაინერგა პაპ-ი, რამაც ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექციების რაოდენობა ორჯერ შეამცირა



ქიმი-ს ინციდენტობა (%) სამ კლინიკაში (პაპ-ის დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ)



მეცნიერების და ტექნოლოგიების საერთაშორისო
ცენტრის (ISTC) პროექტი # G-597 (2002-2005)

“მოლეკულური ეპიდემიოლოგია და ბაქტერიული
ინფექციების ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა
საქართველოში“

კოლაბორატორი: მერილენდის უნივერსიტეტი, მედიცინის
სკოლა, ეპიდემიოლოგიისა და პრევენციული მედიცინის
დეპარტამენტი, აშშ


პარტნიორი: აშშ-ს ჯანმრთელობისა და ადამიანური
რესურსების დეპარტამენტი



ინფექციების კონტროლისა და პრევენციის დანერგვის პირველი წარმატებული მცდელობა

- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
- ეროვნული სამედიცინო ცენტრი, თბილისი კოლაბორატორები
- მინესოტას ჯანმრთელობის დეპარტამენტი, აშშ
- მინესოტას უნივერსიტეტი, ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლა, აშშ

ნოზოკომიური ინფექციები 1000 პაციენტ/დღე



ISTC-ს პროექტი #G-1059 “ინფექციური კონტროლის პრაქტიკის გაუმჯობესება საქართველოში” (2005-2008)

პარტნიორი: აშშ-ს ჯანმრთელობისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი



დიარეით დაავადებულ პაციენტებში *C. difficile*-ს ინფექციებზე პილოტური ზედამხედველობა თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში

კოლაბორატორი: დეილ მორსი, CDC, აშშ

- *C. difficile*-ს ლაბორატორიული დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები დაინერგა საქართველოში
- კავკასიის რეგიონში პირველად იზოლირებულ და იდენტიფიცირებულ იქნა *C. difficile*-ს კულტურები
- იდენტიფიცირებულ *C. difficile*-ს ინფექციების განვითარების ძირითადი რისკ-ფაქტორები



ISTC-ს პროექტი #G-2099 „*C. difficile*-სთან ასოცირებული დაავადებების ეპიდემიოლოგია საქართველოში“ (2013-2016)

პარტნიორი: აშშ-ს ჯანმრთელობისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი



ამრ-ის რუტინული დიაგნოსტიკის ზედამხედველობის გაუმჯობესება

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

- შესწავლილ იქნა სისხლის ნაკადის ინფექციების გავრცელება
- იდენტიფიცირებულ იქნა სისხლის ნაკადის ინფექციების ძირითადი გამომწვევი პათოგენები და შესწავლილ იქნა მათი ანტიბიოტიკების მიმართ მგრძობელობა
- კლინიცისტებისათვის დადასტურებულ იქნა მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის როლი
- ამრ-ის ზედამხედველობის მიმართულებით გაძლიერდა რეფერენს ლაბორატორიის მუშაობა



უკანასკნელ წლებში გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები

(1)

- ჯანმო-ს მხარდაჭერით შემუშავდა ამრ-ის ეროვნული სტრატეგია
- შეიქმნა ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული საბჭო
- საქართველო გაერთიანდა ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ამრ-ის ზედამხედველობის სისტემაში (CAESAR) და ბალტიის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის ქსელში (BARN)
- ანტიმიკრობული მგრძნობელობის ტესტირების ევროპული კომიტეტის (EUCAST) სტანდარტები დაინერგა მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიებში
- ამრ-ის მოლეკულური მეთოდები დაინერგა ლუგარის ცენტრში



უკანასკნელ წლებში გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები (2)

- განახლდა ინფექციების კონტროლთან დაკავშირებული კანონმდებლობა
- შემუშავდა დიპლომისშემდგომი სწავლების მოდულები ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენებისა და ინფექციების კონტროლის შესახებ
- ქართულად ითარგმნა და გამოიცა სენფორდის გაიდლაინი „ანტიმიკრობული თერაპია“



გამოწვევები

- ანტიბიოტიკების გამოყენებაზე არ ხორციელდება ზედამხედველობა
- „სარეზერვო“ ანტიბიოტიკების გამოყენებაზე არანაირი შეზღუდვები არ არსებობს
- სამედიცინო პერსონალს გააჩნია არასაკმარისი ცოდნის დონე ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესახებ
- საავადმყოფოების უმრავლესობაში ინფექციების კონტროლი და პრევენცია საჭიროებს გაუმჯობესებას



დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებთან (აშშ) თანამშრომლობა (2017)

- სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების სენტინელური ზედამხედველობა
- ეროვნულ და დაწესებულებათა დონეზე ინფექციური კონტროლის და პრევენციის პოლიტიკისა და გაიდლაინების დანერგვის ხელშეწყობა
- მიკრობიოლოგიური რეფერენს ლაბორატორიის გაძლიერება
- ანტიბიოტიკების მართვის ხელშეწყობა



მეცნიერების და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის პროექტი #G-2229:

“კარბაპენემ-რეზისტენტული ენტერობაქტერიების ეპიდემიოლოგია საქართველოში”

კოლაბორატორები

- დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი, იაპონია
- ინფექციურ სნეულებათა ეროვნული ინსტიტუტი, იაპონია
- კარდიფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
- ანტვერპენის უნივერსიტეტი, ბელგია
- ლოურენს ბერკლის ნაციონალური ლაბორატორია, აშშ



მადლობა

- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
- დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები, აშშ
- მეცნიერების და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი
- ამერიკის საერთაშორისო ჯანმრთელობის ალიანსი
- ბალტიის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის ქსელი
- ლოურენს ბერკლის ნაციონალური ლაბორატორია, აშშ
- მინესოტას უნივერსიტეტი, აშშ
- ჰოლანდიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და გარემოს ეროვნული ინსტიტუტი
- დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი, იაპონია
- ინფექციურ სნეულებათა ეროვნული ინსტიტუტი, იაპონია
- კარდიფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
- ანტვერპენის უნივერსიტეტი, ბელგია

